საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახური
ჩვენთან მონაცემები ცწორი გადაწყვეტილებებისთვის!

19.11.2026

საჰაერო ტრანსპორტის მაჩვენებლები

2026 წლის III კვარტალი







19.11.2026


საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები

(2026 წლის III კვარტალი)

2026 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტები 3.0 მილიონ მგზავრს მოემსახურა[1], რაც 6.1 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე — აეროპორტებიდან გაემგზავრა 1.5 მილიონი მგზავრი (6.0 პროცენტით მეტი), ხოლო აეროპორტებმა მიიღო 1.5 მილიონი მგზავრი (6.2 პროცენტით მეტი).

მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,

(ათასი კაცი)




[1] **წყარო:** სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

19.11.2026


2026 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის 94.0 პროცენტი რეგულარულ ფრენებზე მოდიოდა.

მგზავრთა ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენების კატეგორიის მიხედვით
(%)



2026 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული სამგზავრო რეისების რაოდენობამ 11.6 ათასი შეადგინა, რაც 7.6 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე.


სამგზავრო რეისების რაოდენობა
(ათასი)



19.11.2026


2026 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებში ტვირთისა და ფოსტის ნაკადის მოცულობამ 12.3 ათასი ტონა შეადგინა, საიდანაც 88.2 პროცენტი მიღებული ტვირთი და ფოსტა იყო, ხოლო 11.8 პროცენტი — გაგზავნილი.

ტვირთის და ფოსტის ნაკადი საქართველოს აეროპორტებში
(ათასი ტონა)



ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ტვირთისა და ფოსტის ნაკადის განაწილებას საქართველოს აეროპორტებში ფრენის კატეგორიების მიხედვით.

ტვირთის და ფოსტის ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენის კატეგორიების მიხედვით
(%)




19.11.2026

2026 წლის III კვარტალში საქართველოს აეროპორტებში 0.8 ათასი სატვირთო რეისი განხორციელდა, რაც 9.2 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

2026 წლის III კვარტალში საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილია 211.5 ათასი მგზავრი და გადატანილია 25.9 ათასი ტონა ტვირთი. აღნიშნულ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 14.4 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე, ხოლო გადატანილი ტვირთის მოცულობა 26.0 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე.

საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიების მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა და გადატანილი ტვირთის მოცულობა



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge